

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/145

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„სტუ-ის საუნივერსიტეტო სპორტის“ დაფუძნების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ფიფიას 2026 წლის 02 ნოემბრის MES 2 26 0001579089 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 5 ნოემბრის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის სტუდენტთა სპორტული გუნდების მხარდაჭერისა და სტუდენტური სპორტის განვითარების მიზნით, დაფუძნდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„სტუ-ის საუნივერსიტეტო სპორტი“.
2. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**